საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
BAGHDATI MUNICIPALITY GOVERMENT
HALL

წერილის ნომერი: **66-662312335**
თარიღი: **03/05/2023**

ადრესატი: მირანდა თეთრაძე
პირადი ნომერი: 01017047251
მისამართი: თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის 20

მოქალაქე მირანდა თეთრაძეს

პ/ნ 01017047251

ქ.თბილისი, თ.ბოჭორიშვილის ქუჩა #20

თქვენი მ/წლის 22 აპრილის შეკითხვის პასუხად გაცნობებთ, რომ ,, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას. შიდა აუდიტი წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას იმისა, რომ დაწესებულების შიგნით არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების მართვა ეფექტურად ხორციელდება. შიდა აუდიტის განხორციელების შედეგად შიდა აუდიტის სუბიექტი ადგენს აუდიტორულ ანგარიშს, რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს, შიდა აუდიტის განხორციელების პროცესს და მიგნებებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს.

შიდა აუდიტორული ანგარიშის მიზანს წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელობას (ჩვენს შემთხვევაში მერს)მიეწოდოს/ეცნობოს დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი და ობიექტური ინფორმაცია.

აქედან გამომდინარე, რადგან შიდა აუდიტის სამსახური არ არის სარევიზიო ან/და მაკონტროლებელი სამსახური და შესაბამისად, მის მიერ მომზადებული ანგარიშები არის საკონსულტაციო, ის არის შიდა მოხმარების სარეკომენდაციო პროდუქტი, გარდა ამისა შიდა აუდიტის ანგარიშები პერსონალური მონაცემების შემცველია, ამიტომ ის არ წარმოადგენს საჯარო ინტერესის შემცველ დოკუმენტს. შესაბამისად ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად არ მიაჩნია მიზანშეწონილად გასაჯაროვდეს 2019-2023 წლების აუდიტორული დასკვნების დოკუმენტები. თუმცა გაწვდით ინფორმაციას 2019-2023 წლებში ჩატარებული აუდიტორული შემოწმებების და ინსპექტირების, გაცემული რეკომენდაციების რაოდენობების შესახებ. სულ აღნიშნულ პერიოდში შედგენილია 17 ანგარიში და გაცემულია 94 რეკომენდაცია. ამასთან მიმდინარეობს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

პატივისცემით,

კახა ენუქიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია-ბაღდათის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი